მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები 3

შემაჯამებელი მიმოხილვა 4

1. 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები 6

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 7

2.1 გადასახადები 8

2.2 სხვა შემოსავლები 9

3. არაფინანსური აქტივების კლება 11

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ანალიზი 12

4.1 ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება 14

4.2 ხარჯები 15

4.2.1 შრომის ანაზღაურება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 17

4.3 პროგრამული ბიუჯეტირება 18

4.3.1 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები 19

4.4 გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია 20

5. სესხების მომსახურება და უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება 21

დანართები 23

დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები 23

დანართი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პროექტები - მაგალითები 25

დანართი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამები 27

დანართი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები 29

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 135-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში; ბ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელნი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში მომზადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2023 წლის განმავლობაში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილება ორჯერ განხორციელდა. რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობების მოცულობა 512,549.4 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 535,549.4 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 29,399.9 ათასი ლარით (5.7%-ით) გაიზარდა და 541,949.4 ათას ლარს, ხოლო გადასახდელები 37,102.0 ათასი ლარით (6.9%-ით) გაიზარდა და 572,651.4 ათას ლარს გაუტოლდა. წლის ბოლოს შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 542,562.9 ათასი ლარი (გეგმის 100.1%) და 532,278.8 ათასი ლარი (გეგმის 92.9%) შეადგინა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია შემდეგი მნიშვნელოვანი სისტემური ხასიათის საკითხები. კერძოდ:

- წინა წლების მსგავსად, თვეების მიხედვით შემოსულობების მაჩვენებლები ძირითადად აღემატება გადასახდელების მაჩვენებლებს, რაც განაპირობებს ნაშთის დაგროვებას. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით წლის განმავლობაში ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა 45,706.2 ათასი ლარიდან 55,990.7 ათას ლარამდე გაიზარდა.
- გასული წლების მსგავსად, არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრის პროცესში შეინიშნება ნაკლოვანებები. კერძოდ, აღნიშნული მუხლი რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 80,415.7 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რომელიც კანონში შესული ცვლილებებით 40,000.0 ათასი ლარით (49.7%-ით) შემცირდა და ბიუჯეტის საბოლოო კანონით 40,415.7 ათას ლარს გაუტოლდა. ფაქტობრივად მიღებულმა შემოსულობამ 37,199.1 ლარი და თავდაპირველი გეგმის 46.3%, ხოლო საბოლოო გეგმის 92.0% შეადგინა.
- წინა წლების მსგავსად, 2023 წლის ბოლოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 131,356.5 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 24.7% შეადგინა.
- საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების ათვისების ზრდის ტენდენცია გრძელდება პროგრამების დონეზეც. კერძოდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 61 პროგრამიდან 48-ის შემთხვევაში (პროგრამების საერთო რაოდენობის 78.7%) დეკემბრის თვის ათვისების მაჩვენებელი აჭარბებს 11 თვის საშუალოთვიური ხარჯის მაჩვენებელს. ამასთან, 30 პროგრამის შემთხვევაში, დეკემბერში ათვისების მაჩვენებელი ორჯერ და მეტჯერ აჭარბებს წლის პირველი 11 თვის საშუალო მაჩვენებელს.
- რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ოდენობის შესახებ. მთავრობის ანგარიშში აღნიშნული ინფორმაციის დეტალურად, საქმიანობის ტიპების მიხედვით წარმოდგენა მნიშვნელოვანია კანონმდებლობით განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობის ანგარიშგებისთვის.

- პროგრამული ბიუჯეტის მომზადებისა და ანგარიშგების პროცესში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებები, რაც ართულებს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ: პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი 20 პროგრამა არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი კონკრეტული მიზანი ან მიზნობრივი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილისთვის სრულად არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ან შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით და სხვ.
- 2023 წელს დამტკიცდა განახლებული „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია“, რომლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ყველა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის მართვა ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის დონეზე, დაფინანსების წყაროს მიუხედავად. მეთოდოლოგია ახდენს პროექტების კატეგორიზაციას მათი მოცულობების მიხედვით, რის საფუძველზეც განსაზღვრავს შესაბამის მოთხოვნებს. ასევე მეთოდოლოგია აწესებს მოთხოვნას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების პერიოდული ანგარიშების მომზადებისა და ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ/წლიურ ანგარიშებთან ერთად წარდგენის თაობაზე. მიუხედავად ამისა, გასული წლების მსგავსად, „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ“ დანართი არ მტკიცდება და არც ანგარიშების მომზადება ხდება.
- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მიერ აღებული სესხებიდან ათვისებულია 80,122.6 ათასი ლარი (ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხის 37.3%). საკრედიტო რესურსი ვერ იქნა ათვისებული აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალანირების პროგრამისათვის გამოყოფილი სესხის ფარგლებში. საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, ყოველწლიურად სესხის აუთვისებელ ნაწილზე ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

1. 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები



2023 წლის განმავლობაში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილება ორჯერ განხორციელდა. რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობების მოცულობა 512,549.4 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 535,549.4 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 29,399.9 ათასი ლარით (5.7%-ით) გაიზარდა და 541,949.4 ათას ლარს გაუტოლდა. ასევე, 37,102.0 ათასი ლარით (6.9%-ით) გაიზარდა გადასახდელების მოცულობა და ბიუჯეტის საბოლოო ვერსიით 572,651.4 ათასი ლარით განისაზღვრა. წლის ბოლოს შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 542,562.9 ათასი ლარი (გეგმის 100.1%) და 532,278.8 ათასი ლარი (გეგმის 92.9%) შეადგინა.

დიაგრამა 1. 2023 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან



დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ყოველთვიური დინამიკა - 2023 წ. (ათასი ლარი)



თვეების მიხედვით შემოსულობების მაჩვენებლები ძირითადად აღემატება გადასახდელების მაჩვენებლებს, რაც განაპირობებს ნაშთის დაგროვებას. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით წლის განმავლობაში ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა 45,706.2 ათასი ლარიდან 55,990.7 ათას ლარამდე გაიზარდა.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსავლების პროგნოზი 432,133.7 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. მეორე კვარტალში დაფიქსირებული ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ივლისში განხორციელდა ცვლილება,[1] შედეგად შემოსავლების გეგმური მოცულობა 47,640.0 ათასი ლარით (11.0%-ით) გაიზარდა, რაც ძირითადად საგადასახადო შემოსავლების (საშემოსავლო გადასახადის) 40,000.0 ათასი ლარით (9.5%-ით) ზრდამ განაპირობა.

2023 წლის ნოემბერში რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში კვლავ განხორციელდა ცვლილება,[2] რის შედეგად შემოსავლების გეგმური მოცულობა ბიუჯეტის პირველ ცვლილებასთან მიმართებით 21,760.0 ათასი ლარით (4.5%-ით), ხოლო ბიუჯეტის თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით - 69,400.0 ათასი ლარით (16.1%-ით) გაიზარდა.

2023 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსავლებმა 505,363.8 ათასი ლარი შეადგინა და 3,830.1 ათასი ლარით (0.8%-ით) გადააჭარბა რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ პროგნოზს. გადაჭარბებით, შესაბამისად 100.6%-ით და 104.5%-ით შესრულდა „გადასახადების“ და „სხვა შემოსავლების“ კომპონენტები, ხოლო „გრანტები“ შესრულდა 95.9%-ით.

[1] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N79-რს, 31 ივლისი 2023 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.30.056.016110

[2] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N83-Iს, 30 ნოემბერი 2023 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.30.056.016112

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები (ათასი ლარი)

შემოსავლების კომპონენტები	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი**			**2023 წლის ფაქტი**	**2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)**		
		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება
გადასახადები	377,682.2	420,000.0	460,000.0	480,000.0	482,889.9	115.0%	105.0%	100.6%
გრანტები	40.2	371.4	288.7	288.7	276.9	74.6%	95.9%	95.9%
სხვა შემოსავლები	9,668.8	11,762.3	19,485.0	21,245.0	22,196.9	188.7%	113.9%	104.5%
შემოსავლები	**387,391.2**	**432,133.7**	**479,773.7**	**501,533.7**	**505,363.8**	**116.9%**	**105.3%**	**100.8%**

დიაგრამა 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა



2.1 გადასახადები

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი გადასახადებზე, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადზე მოდის და მთლიანი შემოსავლების 95.6%-ს შეადგენს. ხაზინის მონაცემებით, საშემოსავლო გადასახადის სახით 2023 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 482,889.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 105,207.7 ათასი ლარით (27.9%-ით) მეტია. გადასახადების შესრულებამ რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულ პროგნოზს 15.0%-ით (62,889.9 ათასი ლარით), ხოლო საბოლოო კანონს 0.6%-ით (2,889.9 ათასი ლარით) გადააჭარბა.

დიაგრამა 4. საშემოსავლო გადასახადი 2019-2023 წლებში (ათასი ლარი)



დიაგრამიდან ჩანს, რომ ბოლო წლებში მზარდია საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა. გამონაკლისია მხოლოდ 2020 წელი, როდესაც ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემოსავლების მოცულობაზე და 2020 წელი, 2019 წელთან შედარებით კლებით აღინიშნა.

2.2 სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, სხვა შემოსავლების წლიური გეგმა 11,762.3 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. კანონში განხორციელებული ცვლილებებით იგი ჯერ 7,722.7 ათასი ლარით (65.7%-ით) გაიზარდა[3] და 19,485.0 ათას ლარს გაუტოლდა, ხოლო შემდეგ 1,760.0 ათასი ლარით (9.0%-ით) კიდევ გაიზარდა[4] და 21,245.0 ათასი ლარი შეადგინა. 2023 წელს ფაქტობრივად მობილიზებულმა თანხამ 22,196.9 ათასი ლარი, გეგმის 104.5% შეადგინა.

ცხრილი 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები (მლნ ლარი)

დასახელება	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი**			**2023 წლის ფაქტი**	**2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)**		
		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება
შემოსავლები საკუთრებიდან	5,813.8	8,198.7	15,921.4	14,931.4	15,055.2	183.6%	94.6%	100.8%
პროცენტები	4,486.4	7,000.0	13,292.7	11,992.7	11,915.3	170.2%	89.6%	99.4%
დივიდენდები	612.2	700.0	1,700.0	1,700.0	1,772.5	253.2%	104.3%	104.3%
რენტა	715.2	498.7	928.7	1,238.7	1,367.3	274.2%	147.2%	110.4%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	711.3	463.6	463.6	703.6	808.3	174.3%	174.3%	114.9%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	14.9	100.0	100.0	10.0	10.9	10.9%	10.9%	109.0%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	3,128.7	3,000.0	3,000.0	5,600.0	6,322.6	210.8%	210.8%	112.9%
სხვა შემოსავლები	**9,668.8**	**11,762.3**	**19,485.0**	**21,245.0**	**22,196.9**	**188.7%**	**113.9%**	**104.5%**

წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას სხვა შემოსავლების ცალკეული კომპონენტის ბიუჯეტის თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულების მიზეზებზე. მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ „პროცენტების“ კომპონენტის ბიუჯეტის საწყის კანონთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადაჭარბება დაკავშირებულია კომერციული ბანკის საბანკო ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ფულადი სახსრების დაგეგმილზე მეტ

[3] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N79-რს, 31 ივლისი 2023 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.30.056.016110

[4] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N83-Iს, 30 ნოემბერი 2023 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.30.056.016112

მოცულობასთან, ხოლო **რენტის**, **დივიდენდების** და **ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული**[5] კომპონენტების – ბიუჯეტის პესიმისტური პროგნოზით დაგეგმვასთან. ხაზინის მონაცემებით, **პროცენტების** სახით 2023 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 11,915.3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7,429.0 ათასი ლარით (165.6%-ით) მეტია და **სხვა შემოსავლების** მთლიანი მოცულობის 53.7%-ს შეადგენს. „პროცენტების“ სახით მიღებული შემოსავლების ზრდა განპირობებულია რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის და პარალელურად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკში განთავსებული დეპოზიტების მოცულობის ზრდასთან, რაც თავის მხრივ უკავშირდება 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების ტენდენციებს.

დიაგრამა 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა (მლნ ლარი)



რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, **დივიდენდების** წლიური გეგმა 700.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რომელიც კანონში განხორციელებული ცვლილებებით 1,000.0 ათასი ლარით (142.9%%-ით) გაიზარდა და 1,700.0 ათას ლარს გაუტოლდა. ფაქტობრივად მობილიზებულმა თანხამ 1,772.5 ათასი ლარი, გეგმის 104.3% შეადგინა. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ბიუჯეტის პროექტზე წარდგენილი დასკვნის დროს მიუთითებდა დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლების პესიმისტური პროგნოზით დაგეგმვაზე.[6]

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 40 საწარმოდან,[7] 2023 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს. აღნიშნული საწარმოები წინა წლებშიც დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში ძირითად როლს ასრულებდნენ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადრე გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება საწარმოებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, რაც განაპირობებს საწარმოების არასასურველ ფინანსურ შედეგებს.

---

[5] „ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ შედგება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოების, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლებისაგან.

[6] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე.

[7] მოწოდებული ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ 7 საწარმოში მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, ხოლო 4 საწარმო გადაცემულია მართვის უფლებით.

დიაგრამა 6. დივიდენდების სახით შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები 2021-2023 წწ. (ათასი ლარი)



➢ კომერციული ბანკის დეპოზიტზე განთავსებული თავისუფალი ფულადი სახსრების მოცულობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფალი ფულადი სახსრების მიმართვა ახალი პროდუქტების/სერვისების შექმნის ან/და გაუმჯობესების მიმართულებით.

3. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრის პროცესში შეინიშნება ნაკლოვანებები. კერძოდ, აღნიშნული მუხლი რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 80,415.7 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რომელიც კანონში შესული ცვლილებებით 40,000.0 ათასი ლარით (49.7%-ით) შემცირდა და ბიუჯეტის საბოლოო კანონით 40,415.7 ათას ლარს გაუტოლდა. ფაქტობრივად მიღებულმა შემოსულობამ 37,199.1 ლარი და თავდაპირველი გეგმის 46.3%, ხოლო საბოლოო გეგმის 92.0% შეადგინა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული კომპონენტის ფაქტობრივი მაჩვენებელი გეგმიდან 2022 წელსაც მნიშვნელოვანი გადახრით ხასიათდებოდა (2022 წელს მობილიზებული იქნა 34,578.8 ათასი ლარი, გეგმის 35.0%).

დიაგრამა 7. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 2019-2023 წწ. (ათასი ლარი)



წარმოდგენილ ანგარიშში რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველ საპროგნოზო მაჩვენებელსა და ფაქტობრივად მიღებულ შემოსულობას შორის არსებულ მნიშვნელოვან გადახრასთან დაკავშირებით განმარტება წარმოდგენილი არ არის. აღსანიშნავია, რომ შესაბამის სამინისტროს

ფორმალიზებული სახით საპრივატიზებო გეგმა არ აქვს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ან/და პირდაპირი მიყიდვის წესით განკარგვის გადაწყვეტილება ძირითადად მიიღება ობიექტის მიმართ ინტერესის გათვალისწინებით. „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს პრივატიზების სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, მათ შორის, ქონების საპრივატიზებოდ მომზადების ვადებს და შესაბამისად, რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსულობის საპროგნოზო მოცულობას.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ანალიზი

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით გადასახდელების წლიური გეგმა 535,549.4 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი ივლისში 65,040.0 ათასი ლარით გაიზარდა, ხოლო ნოემბერში 27,937.9 ათასი ლარით შემცირდა და საბოლოოდ, 572,651.4 ათას ლარს გაუტოლდა. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტობრივმა მოცულობამ 532,278.8 ათასი ლარი, გეგმის 92.9% შეადგინა.

გადასახდელების ყველა კომპონენტის ფაქტობრივი მაჩვენებელი ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული გეგმიდან მცირე გადახრით ხასიათდება, გარდა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლისა, რომელიც კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს 17.0%-ით ჩამორჩა.

ცხრილი 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები და მისი კომპონენტები (ათასი ლარი)

დასახელება	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი**			**2023 წლის ფაქტი**	**2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)**		
		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება
ხარჯები	312,957.9	391,612.4	445,135.6	439,292.4	422,878.5	108.0%	95.0%	96.3%
შრომის ანაზღაურება	42,314.4	54,008.2	54,038.4	54,038.4	52,235.7	96.7%	96.7%	96.7%
საქონელი და მომსახურება	51,657.7	73,382.2	77,694.4	74,532.0	70,630.8	96.3%	90.9%	94.8%
პროცენტი	495.5	709.0	909.0	909.0	859.4	121.2%	94.5%	94.5%
სუბსიდიები	9,452.8	12,562.1	13,794.7	13,463.0	13,131.3	104.5%	95.2%	97.5%
გრანტები	139,446.4	178,662.9	209,394.9	209,394.9	210,264.0	117.7%	100.4%	100.4%
სოციალური უზრუნველყოფა	26,932.5	23,821.0	30,780.3	38,574.8	45,680.3	191.8%	148.4%	118.4%
სხვა ხარჯები	42,658.7	48,467.1	58,524.1	48,380.5	30,077.0	62.1%	51.4%	62.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	81,145.1	134,507.1	146,023.9	125,150.2	101,244.7	75.3%	69.3%	80.9%
ვალდებულებების კლება	2,978.5	9,429.8	9,429.8	8,208.8	8,155.6	86.5%	86.5%	99.4%
გადასახდელები	**397,081.5**	**535,549.4**	**600,589.4**	**572,651.4**	**532,278.8**	**99.4%**	**88.6%**	**92.9%**

დიაგრამა 8. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა



აღსანიშნავია, რომ გადასახდელების ათვისების თანაბარზომიერების კუთხით გამოწვევები ისევ არსებობს. კერძოდ, 2023 წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 131,356.5 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 24.7% შეადგინა. შედეგად, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა, 2023 წლის 11 თვის გადასახდელების საშუალოთვიურ მაჩვენებელს 260.4%-ით გადააჭარბა.[8]

ცხრილი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები და მისი კომპონენტები (ათასი ლარი)

დასახელება	**2023 წლის ფაქტი**	**2023 წლის 11 თვის ფაქტი**	**2023 წლის დეკემბრის ფაქტი**	**2023 წლის 11 თვის საშუალო ათვისება**	**დეკემბრის მაჩვენებლის მეტობა 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან**
ხარჯები	422,878.5	313,464.3	109,414.1	28,496.8	80,917.4
შრომის ანაზღაურება	52,235.7	45,941.8	6,293.9	4,176.5	2,117.4
საქონელი და მომსახურება	70,630.8	60,583.8	10,047.0	5,507.6	4,539.4
პროცენტი	859.4	786.7	72.7	71.5	1.2
სუბსიდიები	13,131.3	10,146.7	2,984.6	922.4	2,062.1
გრანტები	210,264.0	140,294.8	69,969.2	12,754.1	57,215.2
სოციალური უზრუნველყოფა	45,680.3	35,736.1	9,944.2	3,248.7	6,695.5
სხვა ხარჯები	30,077.0	19,974.5	10,102.5	1,815.9	8,286.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	101,244.7	79,963.0	21,281.8	7,269.4	14,012.4
ვალდებულებების კლება	8,155.6	7,495.0	660.6	681.4	-20.8
გადასახდელები	**532,278.8**	**400,922.3**	**131,356.5**	**36,447.5**	**94,909.0**

[8] 2021 და 2022 წლების ანალოგიურმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 266.2% და 190.1% შეადგინა.

2023 წლის დეკემბერში „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით ათვისებული რესურსის მოცულობა 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს შესაბამისად, 284.0%-ით და 192.8%-ით აჭარბებს, ხოლო „ვალდებულების კლების“ მუხლით ათვისებული რესურსის მოცულობა 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 3.0%-ით ჩამორჩება.

ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების მკვეთრი ზრდა ძირითადად გამოწვეულია პირველ სამ კვარტალში აუთვისებელი რესურსის წლის ბოლოს აკუმულირებით, რამაც ბოლო კვარტალში გეგმაზე გადაჭარბებული ხარჯვა გამოიწვია. კერძოდ, პირველ სამ კვარტალში გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ კვარტალურ გეგმებს, შესაბამისად, 21.3%-ით, 14.4%-ითა და 21.9%-ით ჩამორჩა, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 76,023.5 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხა თითქმის სრულად დაიხარჯა მეოთხე კვარტალში, შედეგად, გადასახდელებმა მეოთხე კვარტლის გეგმას 20.4%-ით (35,650.9 ათასი ლარით) გადააჭარბა.

ამ მიმართულებით ძირითად გამოწვევას წარმოადგენს „გრანტების“ მუხლით გაწეული გადასახდელები, რომელთა მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია 2023 წლის დეკემბერში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებების მოცულობის ზრდასთან. კერძოდ, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა 11 თვის გადასახდელების საშუალოთვიურ მაჩვენებელს 56,753.2 ათასი ლარით გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტები ახორციელებენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლებშიც გადახდის ვალდებულება ძირითადად წლის ბოლოს დადგა.

საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების ათვისების ზრდის ტენდენცია გრძელდება პროგრამების დონეზეც. კერძოდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 61 პროგრამიდან 48-ის შემთხვევაში (პროგრამების საერთო რაოდენობის 78.7%) დეკემბრის თვის ათვისების მაჩვენებელი აჭარბებს 11 თვის საშუალოთვიური ხარჯის მაჩვენებელს. ამასთან, 30 პროგრამის შემთხვევაში, დეკემბერში ათვისების მაჩვენებელი ორჯერ და მეტჯერ აჭარბებს წლის პირველი 11 თვის საშუალო მაჩვენებელს.

4.1 ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზით საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ხშირ ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების არსებობაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ახორციელებენ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილებას, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ მხარჯავი დაწესებულებები აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსით ამ

მიმართულებით დადგენილ ლიმიტს,[9] საყურადღებოა მათ მიერ პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობა და სიხშირე.[10] კერძოდ, 2023 წელს განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების ჯამური მოცულობა (პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის) 15,874.2 ათას ლარს შეადგენს. [11]

საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი ნაკლოვანებები (დეტალურად იხ. დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება – მაგალითები):

- წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება;
- ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში დაგეგმილია ჭარბი ოდენობით რესურსი და აუთვისებელი თანხები წლის განმავლობაში ნაწილდება სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე.

ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ცალკეული პროგრამები დაბალი ათვისებით ხასიათდებიან. კერძოდ, 10 პროგრამის (პროგრამების საერთო რაოდენობის 16.4%) შემთხვევაში ათვისებული იქნა ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული გეგმის 85%-ზე ნაკლები. ჯამურად, პროგრამების ფარგლებში 2023 წელს აუთვისებელმა თანხამ 28,131.1 ათასი ლარი შეადგინა.

4.2 ხარჯები

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 79.4% (422,878.5 ათასი ლარი) „ხარჯებმა“ შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 95.6%-ია და 35.1%-ით მეტია 2022 წლის მაჩვენებელზე.

ხარჯების საკასო შესრულება 19,582.0 ათასი ლარით ჩამორჩება დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმურ მაჩვენებელს. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი ძირითადად დაკავშირებულია „გრანტების“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებთან, სადაც ჯამში აუთვისებელი დარჩა 14,001.8 ათასი ლარი. მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებიდან აუთვისებელი დარჩა 7,452.7 ათასი ლარი.

---

[9] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 92, პუნქტი 3: „მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს“.

[10] ძირითადად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემა (29 შემთხვევა, 9,153.0 ათასი ლარი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემა (52 შემთხვევა, 4,133.2 ათასი ლარი).

[11] არ მოიცავს დროებითი შრომისუუნარობისა და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან „სოციალურ უზრუნველყოფის“ მუხლში გადატანილ თანხებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები შესრულების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართი 2 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პროექტები – მაგალითები).

ცხრილი 5. მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)

დასახელება	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი**			**2023 წლის ფაქტი**	**2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)**		
		საწყისი კანონი	I/II ცვლილება	დაზუსტებ. ბიუჯეტი		საწყისი კანონი	I/II ცვლილება	დაზუსტებ. ბიუჯეტი
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	**72,946.0**	**100,303.0**	**124,325.6**	**124,325.6**	**119,876.1**	**119.5%**	**96.4%**	**96.4%**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	37,322.8	52,210.0	66,510.0	66,510.0	65,274.0	125.0%	98.1%	98.1%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	12,557.6	14,683.0	17,483.0	17,483.0	16,543.2	112.7%	94.6%	94.6%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	7,409.9	12,300.0	15,297.0	15,297.0	14,666.0	119.2%	95.9%	95.9%
ქედის მუნიციპალიტეტი	4,178.4	5,650.0	6,850.0	6,850.0	6,754.9	119.6%	98.6%	98.6%
შუახევის მუნიციპალიტეტი	5,428.2	7,130.0	8,392.0	8,392.0	7,568.3	106.1%	90.2%	90.2%
ხულოს მუნიციპალიტეტი	6,049.1	8,330.0	9,793.6	9,793.6	9,069.7	108.9%	92.6%	92.6%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	**62,206.3**	**72,197.0**	**80,830.4**	**89,700.8**	**86,697.5**	**120.1%**	**107.3%**	**96.7%**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	49,979.6	63,790.0	69,490.0	69,667.2	68,550.8	107.5%	98.6%	98.4%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	5,991.6	5,317.0	7,017.0	9,071.0	7,627.9	143.5%	108.7%	84.1%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,666.4	1,100.0	1,309.0	3,482.9	3,311.8	301.1%	253.0%	95.1%
ქედის მუნიციპალიტეტი	1,108.3	350.0	350.0	1,617.7	1,575.3	450.1%	450.1%	97.4%
შუახევის მუნიციპალიტეტი	997.7	470.0	1,258.0	2,482.9	2,386.0	507.7%	189.7%	96.1%
ხულოს მუნიციპალიტეტი	2,462.8	1,170.0	1,406.4	3,379.1	3,245.7	277.4%	230.8%	96.1%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი დახმარება	**135,152.3**	**172,500.0**	**205,156.0**	**214,026.4**	**206,573.7**	**119.8%**	**100.7%**	**96.5%**

ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების შეფერხების მიზეზების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პროექტების სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე არსებული გამოწვევები, რაც უკავშირდება სხვადასხვა კონტროლირებად და არაკონტროლირებად ფაქტორს, მათ შორის, განმახორციელებელი მუნიციპალიტეტების მიერ პროექტების მართვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებს. პროექტების განხორციელების შეფერხების მიზეზებს შორის აღსანიშნავია:

- პროექტის დაგეგმვის ეტაპზე არსებული ხარვეზები, მათ შორის, პროექტთან დაკავშირებული გარემოებების არასათანადო შესწავლა, რაც შემდგომში იწვევს მასში ცვლილებების განხორციელების საჭიროებას.

- კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების არაჯეროვანი შესრულება (მათ შორის, მოსამზადებელი კვლევების/დოკუმენტაციისა თუ სამუშაოების დაგვიანებით ან/და შეფერხებით შესრულება), რაც ცალკეულ შემთხვევებში, ხელშეკრულების შეწყვეტას იწვევს და საბოლოოდ, აფერხებს პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელებას;
- ტენდერების ჩაშლა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს შესაბამისი პრეტენდენტების არარსებობით ან/და სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებული ხარვეზებით;
- სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდის კლიმატურ პირობებთან მისადაგება, რადგან მაღალმთიან აჭარაში ადრე გაზაფხული სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისთვის, რიგ შემთხვევებში, არ არის რელევანტური პერიოდი.

➢ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, ეფექტიანი მონიტორინგი განხორციელდეს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემული კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების დროულად ათვისების მიმართულებით, გამოკვლეულ იქნეს ბიუჯეტის შეუსრულებლობის კონკრეტული მიზეზები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.

4.2.1 შრომის ანაზღაურება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება

2023 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჯარო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმებულთა ხელფასებზე გაწეული ხარჯი 69,073.5 ათასი ლარია. მათ შორის „შრომის ანაზღაურება“ – 52,235.7 ათასი ლარი (9,921.3 ათასი ლარით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს), ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება – 16,837.8 ათასი ლარი (3,294.5 ათასი ლარით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს).

ცხრილი 6. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები (ათასი ლარი)

დასახელება	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის ფაქტი**	**ზრდა/კლება**	**ზრდა/კლება %**
შრომის ანაზღაურება	**42,314.4**	**52,235.7**	**9,921.3**	**23.4%**
თანამდებობრივი სარგო	40,605.3	49,883.6	9,278.3	22.8%
ჯილდო/პრემია	1,502.0	2,069.7	567.8	37.8%
დანამატი	207.1	282.4	75.3	36.4%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	**13,543.3**	**16,837.8**	**3,294.5**	**24.3%**
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო	13,164.8	16,283.4	3,118.6	23.7%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჯილდო/პრემია	328.5	501.8	173.2	52.7%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დანამატი	50.0	52.0	2.0	4.1%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჰონორარი	-	0.6	0.6	
სულ ხელფასი:	**55,857.7**	**69,073.5**	**13,215.8**	**23.7%**

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ.

➢ მიზანშეწონილია, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შესახებ, დასაქმების ტიპის მიხედვით, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა ფუნქციის მქონე თანამშრომლების რაოდენობების კანონმდებლობით განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობის ანგარიშგებას.

4.3 პროგრამული ბიუჯეტირება

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი/მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. ანალიზის შედეგად გამოვლინდა სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რაც ართულებს, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის ანგარიშგების ეტაპზე პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ:

- პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი 61 პროგრამიდან 20 პროგრამა არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად (დეტალური ინფორმაცია იხ.დანართი 3 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამები);
- ზოგიერთ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი კონკრეტული მიზანი ან მიზნობრივი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით[12] განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ანგარიშგების ეტაპზე ართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას;[13]
- პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილისთვის სრულად არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ან შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით;[14]
- პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების 100%-ის შემთხვევაში არ ხდება ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა;

[12] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

[13] ქვეპროგრამა „სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება“ (07 12 04 01); პროგრამა „ტყის დაცვა და მოვლა“ (07 12 03); „ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ (07 15).

[14] „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა“ (04 01 04); „გარემოსდაცვითი პროგრამა“ (07 12 02).

- ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში მიღწეული შედეგების წარმოდგენა ხდება დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შეუსაბამოდ, განსხვავებული სახით/ფორმატით, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის დაგეგმილი და მიღწეული შედეგების ერთმანეთთან შედარებას.[15]

➢ პროგრამული ბიუჯეტირების შემდგომი განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით. რეფორმის გაცხადებული მიზნობრივი ნიშნულების არსებობა გაზრდის ამ პროცესში ჩართული საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხს და ხელს შეუწყობს რეფორმის მიმდინარეობის მონიტორინგს.

4.3.1 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად პროგრამული ბიუჯეტი მოიცავს აგრეთვე ინფორმაციას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ.[16] 2023 წელს დამტკიცდა განახლებული „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია“,[17] რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ყველა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის მართვა ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის დონეზე, დაფინანსების წყაროს მიუხედავად.[18] მეთოდოლოგია ახდენს პროექტების კატეგორიზაციას მათი მოცულობების მიხედვით,[19] რის საფუძველზეც განსაზღვრავს შესაბამის მოთხოვნებს. ასევე მეთოდოლოგია აწესებს მოთხოვნას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების პერიოდული ანგარიშების მომზადებისა და ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ/წლიურ ანგარიშებთან ერთად წარდგენის თაობაზე.[20] მიუხედავად ამისა, გასული წლების მსგავსად, „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ“ დანართი არ მტკიცდება და არც ანგარიშების მომზადება ხდება.

➢ მნიშვნელოვანია, განხორციელდეს რესპუბლიკური ბიუჯეტის „საინვესტიციო/ კაპიტალური პროექტების შესახებ“ დანართის მომზადება, ბიუჯეტის კანონში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში კი კაპიტალური პროექტების დანართის განახლება ცვლილებების გათვალისწინებით.

---

[15] ქვეპროგრამა „დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება“ (04 13 01 02); კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით (06 10 05); დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით (06 10 09).

[16] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 9, პუნქტი 2.

[17] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

[18] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 3, პუნქტი „ა“.

[19] მცირე - 5 მლნ ლარზე მცირე ღირებულების, საშუალო - 5 მლნ ლარიდან 20 მლნ ლარამდე ღირებულების, მსხვილი - 20 მლნ ლარზე მეტი ღირებულების. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, დანართი, მუხლი 2, პუნქტი 3.

[20] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 14, პუნქტი 4.

4.4 გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, 2023 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (99.2%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (80.9%).

ცხრილი 7. გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	**2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი**	**2023 წლის ფაქტი**	**გადახრა**	**შესრულება (%)**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	7,125.9	7,002.6	123.2	98.3%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	1,606.2	1,575.7	30.5	98.1%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	5,456.7	4,536.9	919.8	83.1%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	114,113.9	92,375.0	21,738.9	80.9%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	115,208.4	108,099.8	7,108.6	93.8%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	54,980.0	54,524.5	455.5	99.2%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	28,741.0	28,232.4	508.6	98.2%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	245,419.4	235,931.9	9,487.4	96.1%
ჯამი:	**572,651.4**	**532,278.8**	**40,372.7**	**92.9%**

2023 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აუთვისებელმა თანხამ ჯამურად შეადგინა 40,372.7 ათასი ლარი, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წილი 21,738.9 ლარს შეადგენს, რაც ძირითადად გამოწვეულია შემდეგით: კონტრაქტორი კომპანიების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო, 2023 წელს „გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 10,767.4 ათასი ლარი, შედეგად, მუნიციპალიტეტებში სრულად არ განხორციელებულა ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. კერძოდ: ქობულეთის მუნიციპალიტეტში უსტალიშვილები-წყავროკის გადასასვლელი გზის მონაკვეთზე – 601.2 ათასი ლარის; ქედის მუნიციპალიტეტში წონიარისი-კანტაური-ტიბეთას და გუნდაური-გარეტყეს მონაკვეთებზე – 1,875.0 ათასი ლარის; შუახევის მუნიციპალიტეტში შუახევი-ჩირუხის მონაკვეთზე – 1,016.2 ათასი ლარის; ხულოს მუნიციპალიტეტში ვაშლოვანი-შურმულის მონაკვეთზე – 2,207.6 ათასი ლარის; ტექნიკური ზედამხედველის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაწუნების გამო, ჭოროხის გზის (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) მონაკვეთის და მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები – 2,646.5 ათასი ლარის და სხვ.

„სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 941.8 ათასი ლარი. შესაბამისი სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით[21] განსაზღვრულ ვადაში მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების დასრულება.
„ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 782.1 ათასი ლარი. მოპოვებული ინფორმაციით, შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში საზოგადოებრივი მრავალფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი[22] დასრულდა უარყოფითი შედეგით.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებში აუთვისებელი დარჩა 9,487.4 ათასი ლარი, საიდანაც 7,452.7 ათასი ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიერ აუთვისებელი ფინანსური დახმარებაა.[23]

5. სესხების მომსახურება და უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

2023 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 9,015.0 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის 98.9%-ს შეადგენს.

ცხრილი 8. რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები (ათასი ლარი)

დასახელება	**2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი**	**2023 წლის ფაქტი**	**გადახრა**	**შესრულება (%)**
კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KFW) მიღებული სესხი	7,555.5	7,453.4	102.1	98.6%
ვალდებულების კლება	6,757.0	6,742.0	15.0	99.8%
პროცენტი	798.6	711.5	87.1	89.1%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი	1,562.3	1,561.5	0.8	100.0%
ვალდებულების კლება	1,413.7	1,413.6	0.0	100.0%
პროცენტი	148.6	147.9	0.7	99.5%
ჯამი:	**9,117.8**	**9,015.0**	**102.8**	**98.9%**

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მიერ აღებული სესხების მოცულობა 215,018.7 ათას ლარს შეადგენდა,[24] საიდანაც ათვისებულია 80,122.6 ათასი ლარი, ანუ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხის 37.3%. საკრედიტო რესურსი ვერ იქნა ათვისებული აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალანირების პროგრამისათვის

[21] ხელშეკრულება N15, 13/02/2020 (NAT190025735).
[22] NAT230012804.
[23] იხ. „4.2 ხარჯები“.
[24] 1 EUR = 2.8387 ლარი (ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი 31/12/2023).

გამოყოფილი სესხის ფარგლებში. კერძოდ, საანგარიშო პერიოდისთვის 40 მლნ ევროს მოცულობის სესხიდან ათვისებულია 11.0 მლნ ევრო. საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, ყოველწლიურად სესხის აუთვისებელ ნაწილზე ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით. მოწოდებული ინფორმაციით, სესხის აუთვისებლობის მიზეზია შესყიდვის განსახორციელებლად გამოცხადებული ტენდერის ორჯერ წარუმატებლად დასრულება (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 4-ში – რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები).

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების იდენტიფიცირება, ხარვეზებზე დროული რეაგირება და მოზიდული ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

დანართები

დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის შესახებ მაჩვენებლები – 2023 წელი (ათასი ლარი)[25]

ორგ. კოდი	მხარჯავი დაწესებულების დასახელება	ხარჯთაღრ. ცვლილების ცნობის რაოდენობა	თანხა
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	1	128.9
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	-	-
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	-	-
04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	29	9,153.0
05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	52	4,133.2
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	9	1,047.9
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	11	1,411.2
ჯამი:		**102**	**15,874.2**

ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, წლის განმავლობაში ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება, ასევე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში დაგეგმილია ჭარბი ოდენობით რესურსი და აუთვისებელი თანხები წლის განმავლობაში ნაწილდება სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე და სხვ.

- შემცირდა **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს** ქვეპროგრამის „აჭარის ტერიტორიზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება“ (04 01 03 03) 2023 წლის ბიუჯეტის ღირებულება 3,461.6 ათასი ლარით და გაიზარდა „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ (04 14 02 05) ქვეპროგრამის 2023 წლის ბიუჯეტის ღირებულება 3,461.6 ათასი ლარით. ქვეპროგრამის „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ ფარგლებში თავდაპირველად გათვალისწინებული იყო 1,500.0 ათასი ლარი, 5 ერთეული ტექნიკის შესაძენად. რეგიონში განვითარებული მეწყრული პროცესების სალიკვიდაციოდ, დამატებით დაიგეგმა 22 ერთეული სპეცტექნიკის შეძენა, რომლის ფინანსური რესურსი, საავტომობილო გზების დეპარტამენტს არ გააჩნდა. მეწყრული პროცესების მოსალოდნელი რისკებისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჭიროებების გათვალისწინებით, აღნიშნული ღონისძიებისთვის სათანადო რესურსის თავიდანვე გათვალისწინება ბიუჯეტში შესაძლებელი იყო.
- შემცირდა ქვეპროგრამის „აჭარის ტერიტორიზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება“ (04 01 03 03) 2023 წლის ბიუჯეტი 900.5 ათასი ლარით და შესაბამისად

[25] არ მოიცავს დროებითი შრომისუუნარობისა და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან „სოციალურ უზრუნველყოფის“ მუხლში გადატანილ თანხებს.

	გაიზარდა ქვეპროგრამის „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა“ (04 01 03 04) 2023 წლის ბიუჯეტის ღირებულება 900.5 ათასი ლარით. 2023 წლის „აჭარის ტერიტორიზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი თავიდანვე დაიგეგმა ჭარბი ოდენობით, რადგან ქვეპროგრამით გათვალისწინებული „ჩირუხის მთის ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრატრუქტურის განვითარების“ პროექტი წლის დასაწყისში შესასრულებლად გადაეცა შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიას.“
	„საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ პროგრამის „გზების რეაბილიტაცია“ (04 14 02 01) ქვეპროგრამის „ქობულეთის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია“ ღონისძიება შემცირდა 811.1 ათასი ლარით, ხოლო სანაცვლოდ იგივე თანხით გაიზარდა „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ ქვეპროგრამის (04 14 02 05) ღირებულება. შედეგად, „გზების რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ღირებულება ნაცვლად 29,575.8 ათასი ლარისა, განისაზღვრა 28,764.8 ათასი ლარით, ხოლო „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ ქვეპროგრამის ღირებულება ნაცვლად 22,708.7 ათასი ლარისა - 23,519.8 ათასი ლარით. „გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის „ქობულეთის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია“ ღონისძიების ფარგლებში წარმოქმნილი თავისუფალი ფინანსური რესურსი მიმართულ იქნა „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ ქვეპროგრამის ღონისძიებებში 2000 კუბ.მ სასაქონლო ბეტონის შესყიდვის მიზნით. დამატებითი საჭიროების ისევე, როგორც რესურსის გამოთავისუფლების შეფასება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შესაძლებელი იყო.

დანართი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პროექტები - მაგალითები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით დაფინანსებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების რიგი პროექტები, სადაც ათვისების მაჩვენებელი 70%-ს არ აღემატება (ლარი; პროცენტი)

N	პროექტის დასახელება	2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2023 წლის ფაქტი	გადახრა	ბიუჯეტის შესრულება (%)	შენიშვნა
1	ქალაქ ქობულეთში კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები	847,783	591,635	256,148	70%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულება
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა	27,165	-	27,165	0%	ღონისძიება იყო 2021-2022 წლების გარდამავალი პროექტი, რომელიც სახელშეკრულებო ვადებში დაუსრულებლობის გამო გადმოვიდა 2023 წელს. მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო 2023 წელს ხელშეკრულება შეწყდა. ახალი ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 12 იანვარს (NAT230023853)
3	დაბა ჩაქვში, აღმაშენებლის ქუჩის მე-4 შესახვევი სკვერის მოწყობა	134,334	66,379	67,955	49%	აღნიშნული ღონისძიება უნდა დასრულებულიყო 2023 წლის მაისში. მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო 2023 წელს ხელშეკრულება შეწყდა. ახალი ხელშეკრულება აღნიშნულ ღონისძიების ფარგლებში დაიდო 2024 წლის 17 იანვარს (NAT230025278)
4	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეში (მუხნარის მიმართულება) ჭაბურღილების მოწყობა	44,001	19,083	24,918	43%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა
5	ქალაქ ქობულეთში, სანაპირო ზოლის (ზღვისპირა პარკი) მოწყობა	50,000	-	50,000	0%	ტენდერის გამოცხადებამდე საჭირო გახდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება, რამაც გამოიწვია ღონისძიების თანხობრივი კორექტირებაც. ტენდერი ჯერ არ არის გამოცხადებული. გათვალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტით.
6	ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობა	50,000	-	50,000	0%	ტენდერის გამოცხადებამდე საჭირო გახდა საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება, რამაც გამოიწვია ღონისძიების თანხობრივი კორექტირებაც. ტენდერი ჯერ არ არის გამოცხადებული. გათვალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტით.

7	ქალაქ ქობულეთში პოპოვის ქუჩა N12 მრავალბინიანი სოციალური სახლის მშენებლობა	100,000	-	100,000	0%	ტენდერი არ შედგა
8	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	205,000	33,692	171,308	16%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულება
9	ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების-სამუშაოები	210,855	103,498	107,357	49%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულება
10	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის აუზების მაგისტრალების, ჭაბურღილების, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია და ჰიპოქლორიდის აპარატების შემენა/მონტაჟი	1,093,659	771,288	322,371	70%	სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყება
11	შუახევის მუნიციპალიტეტის სხეფის სოფლის სახლის მშენებლობის დასრულების სამუშაოები	40,607	16,856	23,751	42%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა
12	შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ ექსკავატორ-დამტვირთველის შემენა (ერთი ერთეული)	290,000	-	290,000	0%	ტენდერი არ შედგა
13	შუახევის კულტურის ცენტრის და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია	745,905	357,787	388,118	48%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა
ჯამი:		3,839,309	1,960,218	1,879,091	51%	

დანართი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამები

(ათასი ლარი, %)

კოდი	დასახელება	2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2023 წლის ფაქტი	ბიუჯეტის შესრულება (%)
04 01 02	რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	449.5	440.2	97.9%
04 01 03	ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	2,491.2	1,557.5	62.5%
04 01 04	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	8,822.3	7,880.5	89.3%
04 01 05	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	100.0	-	0%
04 01 06	საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	1,720.0	1,178.8	68.5%
04 03	რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა	12,871.5	9,933.6	77.2%
04 04	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	368.8	353.2	95.8%
04 05	დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა	92.7	89.2	96.2%
04 06	საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა	1,296.8	1,242.6	95.8%
04 08	საწარმოთა მართვა	213.5	170.0	79.6%
04 09	ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის	250.0	249.7	99.9%
04 11	ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა	534.2	525.9	98.4%
04 13 01	ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა	1,910.2	1,775.5	92.9%
04 13 02	აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე	7,903.1	7,135.5	90.3%
04 13 03	ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება	5,578.7	5,204.9	93.3%
04 14 02	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	62,106.7	47,843.4	77.0%
05 02	განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება	1,556.5	1,516.6	97.4%
05 03	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	45,580.7	44,405.7	97.4%
05 06	აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	3,676.9	3,512.0	95.5%
05 07	საჯარო სკოლების საპენსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა	1,244.2	1,104.5	88.8%
05 08	ზოგადი განათლება	1,033.0	734.4	71.1%
05 09	უწყვეტი განათლება	773.3	635.8	82.2%
05 10	პროფესიული და უმაღლესი განათლება	3,390.7	2,937.4	86.6%
05 11	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	7,457.6	7,403.1	99.3%
05 12	სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	7,283.0	5,638.4	77.4%
05 14 01	კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა	1,585.8	1,360.2	85.8%
05 14 03	ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა	476.0	404.8	85.0%

05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	220.0	189.1	86.0%
05 14 10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია	4,541.9	4,071.6	89.6%
05 14 11	მუზეუმებისა და გალერეების განვითარება	3,907.7	3,711.7	95.0%
05 14 12	სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა	15,512.8	15,022.6	96.8%
05 14 14	ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა	261.9	246.6	94.2%
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	142.0	101.6	71.6%
05 15 02	სპორტის ხელშეწყობა	6,315.9	5,872.2	93.0%
05 17	საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება	2,908.9	2,877.0	98.9%
05 18 02	არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა	635.9	594.4	93.5%
05 18 03	ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა	366.0	325.7	89.0%
05 18 04	კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	246.6	230.8	93.6%
05 18 05	ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა	305.3	284.4	93.1%
06 02	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	26,093.8	26,068.0	99.9%
06 03	პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა	429.6	424.4	98.8%
06 04	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	3,676.2	3,611.4	98.2%
06 05	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია	4,593.5	4,503.7	98.0%
06 06	მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	7,270.5	7,137.8	98.2%
06 07	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით	1,552.6	1,546.9	99.6%
06 09	ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	3,720.0	3,719.2	100.0%
06 10	დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	1,194.4	1,140.0	95.4%
06 12	მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა	3,043.0	3,031.8	99.6%
07 05	აგროსექტორის მდგრადი განვითარება	280.7	279.2	99.5%
07 07	აგროსერვისის განვითარება რეგიონში	3,842.1	3,730.2	97.1%
07 08	ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა	843.9	783.3	92.8%
07 09	მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა	1,909.0	1,909.0	100.0%
07 11	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა	208.8	202.2	96.8%
07 12 02	გარემოსდაცვითი პროგრამა	87.9	87.7	99.8%
07 12 03	ტყის დაცვა და მოვლა	877.2	843.5	96.2%
07 12 04	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	10.0	10.0	100.0%
07 12 05	ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები	7,000.5	6,931.0	99.0%
07 12 06	პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები	4,862.4	4,862.4	100.0%
07 13	სამელიორაციო სისტემების მართვა	1,197.8	1,130.8	94.4%
07 15	ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	162.8	157.7	96.9%
07 16	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	2,581.7	2,567.6	99.5%

დანართი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

სესხის დასახელება	**გამოყოფილი სესხები**	**ათვისებულია 31.12.2023**	**გადახდილია 2023 წელს**		
			ძირითადი	პროცენტი	აუთვისებლობი სათვის დარიცხული პროცენტი
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხი (აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი)	3,000,000 EUR	3,000,000 EUR	506,927 EUR	44,837 EUR	-
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი (კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია)	6,700,000 EUR	6,700,000 EUR	446,600 EUR	51,192 EUR	-
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერით და ევროკავშირის თანადაფინანსებით მიღებული სესხი (აჭარის სოფლების წყალმომარაგება)	40,000,000 EUR	10,989,433 EUR	1,904,000 EUR	108,652 EUR	91,947 EUR
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი ("აჭარის მყარი ნარჩენების მართვა" - ფაზა II)	19,000,000 EUR	490,205 EUR		1,223 EUR	6,873 EUR
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (კანადურ კომპანიასთან გაფორმებული მორიგების ხელშეკრულება)	20,000,000 ₾	20,000,000 ₾	-	-	-
ჯამი:	**68,700,000 EUR** **20,000,000 ₾**	**21,179,638 EUR** **20,000,000 ₾**	**2,857,526.60 EUR**	**205,904 EUR**	**98,820 EUR**